მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

# მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

## შპს „ემ ენ ჯგუფის " ქ. ჭიათურაში მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

15 მაისი, 2018

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს ქ. ჭიათურაში მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვისათვის 2018 წლის 25 აპრილს გამოქვეყნებული სკოპინგის ანგარიშის[1] თაობაზე:

**დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა**

1. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორია უახლოესი საცხოვრებელი სახლებიდან დაშორებულია 600 მეტრით (ჩრდილოეთით) და 1000 მეტრით (სამხრეთ-დასავლეთით). ანგარიშში ვკითხულობთ, რომ უახლოესი სოფლები საწარმოდან დაშორებულია 4-6 კილომეტრით, თუმცა ჩამოთვლილი არ არის ამ სოფლების დასახელება. იმ შემთხვევაში თუ, საპროექტო ტერიტორიიდან ყველაზე მცირე მანძილით დაშორებული (600 მ) საცხოვრებელი სახლი მიეკუთვნება სოფლის ტერიტორიას, მაშინ სოფლების საწარმოდან დაშორება 4-6 კილომეტრზე გაცილებით ნაკლები გამოდის. ამგვარად, დასაზუსტებელია საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებული უახლოესი საცხოვრებელი სახლები ქალაქს მიუკუთვნება, თუ რომელიმე სოფელს.

[1] http://moe.gov.ge/res/images/file-manager/skopingis_angarishi/chiatura_678678678/ScopingReport-.pdf

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: 995 (32) 2221574
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

2. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, სკოპინგის ანგარიშში წარმოადგინოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, მათ შორის GIS კოორდინატების მითითებით[2].

დოკუმენტის 2.1 ქვეთავში მოცემულია ინფორმაცია GIS მონაცემების შესახებ, თუმცა გაუგებარია ეს კოორდინატები ეკუთვნის ქვესადგურ „ჭიათურა 3"-ს, თუ საპროექტო ტერიტორიას?

3. ანგარიშში, ნახაზებზე (ნახაზი 2.1.1; სურათი 2.2.1), შეუძლებელია წარწერების ამოკითხვა, მისი ხარისხიდან გამომდინარე, რაც ხელს უშლის მკითხველს მიიღოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ.

**ალტერნატივების ანალიზი**

1. დოკუმენტის 2.3.1 ქვეთავი არაქმედების ალტერნატივა, არასრულყოფილად არის განხილული. კერძოდ, სოციალური ზემოქმედების კუთხით, წარმოდგენილი ინფორმაცია, მოიცავს მხოლოდ დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხს. საერთოდ არ არის შეფასებული ქვეთავში ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორიცაა საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი (დადებითი ან უარყოფითი) ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. გარემოს ზემოქმედების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია კი არასრულყოფილია და მოიცავს მხოლოდ, პროექტის დადებით ეფექტს, ძირითადად ნარჩენების მართვის კუთხით.

2. 2.3.3 ქვეთავში „საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები", ვკითხულობთ: *„შპს „ემ ენ ჯგუფ"-ს საქმიანობის განხორციელებისთვის შერჩეული ჰქონდა <u>სხვადასხვა მიწის ნაკვეთები</u> ამავე რეგიონში, მათ შორის, ერთ-ერთი ე.წ „თაბაგრების შესახვევი"-ს მიმდებარე ტერიტორია იყო, თუმცა არასაკმარისი მიწის ფართი, აუთვისებელი ტერიტორიის დაკავება და მასზე აღიშნული საქმიანობის განხორციელება რიგი რისკ ფაქტორის წარმოადგენდა გარემოს თვალსაზრისით."* დოკუმენტის ხარვეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია ზემოთაღნიშნული სხვადასხვა მიწის ნაკვეთების შესახებ (გარდა„თაბაგრების შესახვევი"-ს მიმდებარე ტერიტორიისა). მაგალითად, რამდენი მიწის ნაკვეთის მდებარეობა იყო განხილული? სად მდებარეობდა თითოეული მიწის ნაკვეთი, ან რატომ თქვეს უარი მასზე საწარმოს განთავსებაზე?

[2] საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი", მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი.

3. ასევე, საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტების განხილვისას, ნახსენებია მხოლოდ გარემოზე ზემოქმედება და ნათქვამია, რომ *„საქმიანობის განხორციელება ბუნებისათვის მაღალი ზიანის მომტანი არ იქნება“,* წლების განმავლობაში საპროექტო ტერიტორიის მაღალი ტექნოგენული და ანთროპოგენული დატვირთვის გამო. ეს შეფასებაც უნდა ემყარებოდეს დეტალურ კვლევებს, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების დროს უნდა ჩატარდეს.

4. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს თანახმად, სკოპინგის ანგრიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების, აგრეთვე მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ.

ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშში საერთოდ ნახსენები არაა დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივები, მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. აგრეთვე, საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები არასრულყოფილად შეფასებულია, მხოლოდ გარემოს დაცვის კუთხით და საერთოდ არაა განხილული სოციალურ გარემოზე ზემოქმედება.

**დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება**

1. სკოპინგის ანგარიშში საქმიანობის განმახორციელებელი მტკიცებით ფორმაში საუბრობის საქმიანობით გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედების დადებით თუ უარყოფით ხასიათზე, რაც რეალურად გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის დროს უნდა დადგინდეს სათანადო კვლევების ჩატარების შედეგად. მაგალითად:

- *„წინასწარი ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ ხმაურის და დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელებით ნეგატიური ზემოქმედების მნიშვნელობა არ იქნება.“ - გვ.14*
- *„შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების ძალიან დაბალი იქნება.“ - გვ.14*

ასევე, მე-3 თავის სხვადასხვა ნაწილში ვხვდებით ინფორმაციას, რომ საპროექტო ტერიტორიიდან, მოსახლეობის „დიდი მანძილით“ დაშორების გამო, მათზე საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ იქნება, თუმცა:

- როგორც დოკუმეტში არის მოცემული, დაშორება უახლოეს საცხოვრებელ სახლსა და საპროექტო ტერიტორიას შორის მხოლოდ 600 მეტრია, რაც შესაძლოა არ წარმოადგენდეს „დიდ მანძილს“;
- ამასთან, ჯერ არ არის ჩატარებული დეტალური კვლევები, ემისიების, ხმაურის, ნიადაგის დაბინძურების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით არ შეიძლება ითქვას, რომ პროექტის ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

2. ანგარიშის გაცნობის შემდეგ, მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ გარემოზე მიყენებული ზიანი უმნიშვნელო იქნება, რადგან საწარმოო ტერიტორია ისედაც ძლიერი ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ იყო:

- *„შპს „ემ ენ ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აუდიტის დროს სამშენებლო მოედანზე მცენარეული საფარი არ დაფიქსირებულა, (იხ. სურათი 2.1.3) რადგან აღნიშნული მიწის ნაკვეთი წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენულ დატვირთვას“; - გვ. 15*
- *„რაც შეეხება ზოოლოგიას ამ შემთხვევაშიც არც წითელ წიგნში და არც სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცული ცხოველები არ დაფიქსირებულა, გვხვდება მხოლოდ ცხოველთა სინანტროპული სახეობები, რომლებიც შეგუებულნი არიან სამუშაო გარემოს, შესაბამისად ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება დაგეგმილი საქმიანობის მიხედვით შეიძლება შეფასდეს, როგორც ძალიან დაბალ ზემოქმედებად“;- გვ. 15*
- *„რაც შეეხება (საპროექტო) ჭ. ჭიათურაში საჩხერის გზატკეცილი N34 ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთს, იგი წლების განმავლობაში გამოიყენებოდა მანგანუმის მადნის გასამდიდრებად და გარემოც დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენულ დატვირთვას, ამიტომ შერჩეულ მიწის ნაკვეთზე საქმიანობის განხორციელება ბუნებისათვის მაღალი ზიანის მომტანი არ იქნება.“ - გვ.13*

ის გარემოება, რომ საპროექტო ტერიტორია, მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენულ დატვირთვას, არ ნიშნავს, რომ დამატებით ზემოქმედება არ გამოიწვევს მის მნიშვნელოვან და შეუქცევად დეგრადაციას.

3. სკოპინგის ანგარიშის, 3.7 ქვეთავში, ადამიანების ჯანმრთელობასა,უსაფრთხოებაზე ზემოქმედება შეფასებულია, მხოლოდ საწარმოში დასაქმებულ მომსახურე პერსონალზე და უგულებელყოფილია, მოსახლეობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. დოკუმენტში არასრულყოფილად არის შეფასებული, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და სოციალურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედებაც.

4. ქ. ჭითურის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები ხშირად ჩივიან სამრეწველო ნარჩენებთან - შლამებისა და კუდების მართვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. დამატებით ზემოქმედებად ითვლება მათი ტრანსპორტირება და დასაწყობება.

დოკუმენტში არ არის განხილული, თუ სად, როგორ რა საშულებით მოხდება საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი შლამებისა და კუდების გატანა საპროექტო ტერიტორიიდან, რასაც ჩვენი აზრით, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს და სკოპინგის ანგარიშში სათანადოდ უნდა იყოს განხილული.

**გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია და მიდგომა**

1. სკოპინგის ანგარიშში ერთი თავი ეთმობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიასა და მიდგომას (თავი 5. „ინფორმაცია მომავალში ჩასატარებლი კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო მეთოდების შესახებ“), თუმცა, ქვეთავი ზოგადია და არ მოიცავს ზუსტ ინფორმაციას გზშ ანგარიშის მოსამზადებლად ჩასატარებელი საბაზისო/საძიებო კვლევებისა და საჭირო მეთოდების შესახებ. ანგარიშში ვკითხულობთ:

- *„გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის დეტალური შესწავლა, რაც მოიცავს როგორც აუდიტორულ და ლიტერატურულ, ისე ლაბორატორიულ კვლევებს და მონაცემების პროგრამულ დამუშავებას.“* - თუმცა, ნახსენები არ არის გზშ ანგარიშის მომზადების პროცესში ჩატარდება თუ არა საველე კვლევები.
- *„შესაბამისი მეთოდების გამოყენებით დადგინდება საპროექტო მონაკვეთისთვის მდ. ყვირილას წყლის ხარისხის კონტროლი“.* -არ არის დაკონკრეტებული, რა მეთოდის გამოყენება იგეგმება?

- დოკუმენტიდან არ ჩანს მოხდება თუ არა ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება და რა მეთოდები იქნება გამოყენები შეფასების პროცესში?

**გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თვიდან აცილების, შემცირებისა და შერბილების ღონისძიებები**

1. სკოპინგის ანგარიშში განხილულია, მხოლოდ შემარბილებელი და არა - ზემოქმედების აცილებისათვის, შემცირებისათვის განსაზღვრული ღონისძიებები.

**საჯარო განხილვა**

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის 14 მაისს ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ჩატარდა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრა დაძაბულ ვითარებაში წარიმართა და ფაქტობრივად დამსწრეებს შენიშვნებისა და კომენტარების სრულყოფილად წარდგენის შესაძლებლობა არ მიეცათ, რადგან შპს „ემ ენ ჯგუფის“ წარმომადგენლები, ხელს უშლიდნენ შეხვედრის მონაწილეებს შეკითხვების დასმაში. ამასთან, საქმიანობის განმახორციელებლებს საკითხი შესწავლილი არ ჰქონდათ, შესაბამისად მათი პასუხებიც არასერიოზული იყო (ერთ -ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ საკითხს ჯერ არ იცნობს და მომავალში როცა შეისწავლის შემდეგ გვიპასუხებს).